ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 208

1 ივნისი
"---" -------- 2021 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2016 წლის 11 მარტის პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-297-15-17432 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ზ" ქვეპუნქტისა და 127[2] მუხლის, „თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებით დამტკიცებული წესის 24-ე მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2016 წლის 11 მარტის პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-297-15-17432 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 7 აპრილის №21.436.507 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. გაუქმდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2016 წლის 11 მარტის პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-297-15-17432 ხელშეკრულების „ბ" პუნქტით განსაზღვრული ვალდებულება („საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტის განთავსების პირობით") იმ პირობით, რომ შპს „მექანი" (ს/ნ. 416305830) ამ განკარგულების გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე უზრუნველყოფს 51,465 (ორმოცდათერთმეტი ათას სამოცდახუთი) ლარის ოდენობით ფასთა შორის სხვაობის გადახდას.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე